საანგარიშო პერიოდში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და მათმა კულტურულმა დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს. 1960–1961 წლებში მოეწყო 110 ათასზე მეტი ლექცია და მოხსენება, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 8 მილიონი კაცი. სალექციო მუშაობაში სულ უფრო ფართოდ ეიზიდვით ლექტორებს საზოგადოებრივ საწყისებზე. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლის ლექტორთა ჯგუფი აერთიანებს 80 საზოგადოებრივ ლექტორს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კულტურის სასახლის ლექტორთა ჯგუფმა მოაწყო ლექციების ციკლი სკკპ XXII ყრილობის მასალების მიხედვით თემაზე „პარტიას კომუნიზმისაკენ მივყავართ“.

რესპუბლიკის პროფკავშირთა კულტურულ დაწესებულებებთან გაიხსნა 19 კულტურის სახლო უნივერსიტეტი. დიდ საწარმოთა თითქმის ყველა კლუბთან შექმნილია ტექნიკური კაბინეტები.

მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი კულტურული დაწესებულებები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად დუნედ ეწევიან აღმზრდელობით და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ჯარგან მოწყობილი კლუბი აქვს ტყვარჩელის თბოელექტროცენტრალის კოლექტივს, მაგრამ კლუბის გამგეობა სრულ უმოქმედობას იჩენს. აქ არ არის გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაცია, არაფერი არ კეთდება ტექნიკური პროპაგანდის დარგში, არავითარი მუშაობა არ წარმოებს ახალგაზრდობაში. იშვიათად და ცუდად ეწყობა მშრომელთა დასვენების საღამოები.

მოხსენებაში გაკრიტიკებული იყო ავრეთვე პროფკავშირთა ზოგიერთი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, ხაზგასმული იყო, რომ საჭიროა გამოცოცხლდეს მთელი საკლუბო მუშაობა და გადაყვანილ იქნეს საზოგადოებრივ საწყისებზე.

რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და მათი მონაწილეების რიცხვი.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ცნობილია თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს, ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკის ხუთმა სახალხო თეატრმა. დიდი წარმატება ჰქონდა საქართველოს თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლას ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე, ევროპის ქვეყნების რკინიგზელთა კონფერენციაზე, პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესზე.

მხატვრულ თვითმოქმედებას მუდმივი დახმარება ესაჭიროება ქართული ხელოვნების მოღვაწეთა, პროფესიული თეატრალური და მუსიკალური კოლექტივების მხრივ.

პროფკავშირთა მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები. რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში ამ ბოლო დროს შეიქმნა ახალი ფიზკულტურული კოლექტივები. ამის შედეგად პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების სექციების მუშაობაში მონაწილეთა რიცხვი ამჟამად აღემატება 220 ათასს, რაც 75 ათასით მეტია, ვიდრე 1960 წელს. რესპუბლიკის დიდ საწარმოებში პირველად მოეწყო ოთხი სასპორტო კლუბი. წარმატებით შესრულდა თანრიგისას სპორტსმენთა, ხიშნოსანთა და ფიზიკური კულტურის საზოგადოებრივ მუშაკთა კადრების მომზადების გასული წლის გეგმები. ქართველმა სპორტსმენებმა წარმატება მოიპოვეს საერთაშორისო, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა ხელი უნდა შეუწყონ მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებასა და გაუმჯობესებას. უნდა გაუმჯობესდეს ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობა, სანიმუშო წესრიგი დამყარდეს ტურისტული ბაზების მუშაობაში.

— საანგარიშო პერიოდში, თქვა მომხსენებელმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა პროფკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლის განმტკიცებას, მათი მუშაობის, პროფკავშირული აქტივის აღზრდისა და სწავლების დონის ამაღლებას, ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას მთელ ორგანიზაციულ მუშაობაში.

მნიშვნელოვნად ამაღლდა პროფკავშირის წევრთა აქტივობის დონე. ამას მკაფიოდ მოწმობენ პროფკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები, რომლებიც წინ უძღოდა ჩვენს ყრილობას. საანგარიშო-საარჩევნო კრებებს დაესწრო პროფკავშირის წევრთა დაახლოებით 90 პროცენტი. ამ ანგარიშებისა და არჩევნებისათვის დამახასიათებელია ის, რომ საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების შემადგენლობა 60 პროცენტით განახლდა. კომიტეტების შემადგენლობაში არჩეულია ბევრი მოწინავე წარმოების მუშა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობს 250 ათასზე მეტი აქტივისტი. ეს დიდი ძალაა.

მომხსენებელმა ილაპარაკა საზოგადოებრივ საწყისებზე პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტებში რესპუბლიკური კომიტეტებში ახლა 700-ზე მეტი შტატგარეშე ინსტრუქტორია. გარდა ამისა, შემცირდა და წარმატებით მუშაობს 68 საზოგადოებრივი კომისია, რომლებიც ერთიანებენ 650 კაცს.

მაგრამ ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას არ აქცევს საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას პროფკავშირულ მუშაობაში. ეს პირველ რიგში ეხება მეტალურგიულ, მანქანათმშენებელი, ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებს. აქ ჯერჯერობით სჭერდებიან შტატგარეშე ინსტრუქტორების დამატებას.

მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ პროფკავშირის წევრთა რიგების ზრდას. რესპუბლიკაში ამჟამად პროფკავშირთა 942.580 წევრია. პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა მშრომელი პროფკავშირის წევრი იყოს.

ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირული კადრების სწორად შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, გაუმჯობესდეს შესრულების შემოწმების საქმე.

საქართველოს პროფსაბჭოს, საოლქო პროფსაბჭოების, რესპუბლიკური კომიტეტებისა და ყველა პროფკავშირული ორგანოს ამოცანაა განუწყვეტლივ გააუმჯობესონ პროფკავშირთა ორგანიზაციული მუშაობა, ყოველი ღონისძიებით ამაღლონ მათი როგორც მებრძოლი ორგანიზატორების როლი მასების დასაბრაზებლად და აღსაზრდელად, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიის პრინციპები და პროფკავშირული ცხოვრების ნორმები.

მოხსენების დასასრულს ამხ. ლელაშვილმა თქვა:

— ნება მიბოძეთ თქვენი სახელით პირობა მივცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ რესპუბლიკის პროფკავშირის წევრთა 942-ათასიანი არმია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით კვლავაც მთელი ენერგიით იბრძოლებს დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ **რ. ა. ავიტისოვმა.**

ქამათში მოხსენებათა გამო ლაპარაკი იყო საყოველთაო-სახალხო ბრძოლაზე სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში საქართველოს პროფესიული კავშირის წევრთა აქტიური მონაწილეობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე.

აფხაზეთის პროფკავშირული ორგანიზაციები, — თქვა აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ა. ჯოხთაბერიძემ**, — აქტიურად მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მუშაობენ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებზე, აბამენ მათ წარმოების მართვაში. 9 ათასზე მეტი კაცი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომისათვის. 694 ბრიგადიდან, საამჭროდან და უბნიდან 159-მა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება, ხოლო 695 მოწინავე მუშამ მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის სპატიო წოდება.

10 საწარმოს კოლექტივები იბრძვიან კომუნისტური საწარმოს მაღალი წოდებისათვის. ტყვარჩელის მშრომელებმა დაიწყეს შეჯიბრება იმისათვის, რომ თვიანთი ქალაქი გადააქციონ კომუნისტური შრომის ქალაქად. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა. პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად მაღაროელებმა გეგმის გადამეტებით ამოღეს 25 ათასი ტონა ქვანახშირი. წარმატებით დაიწყეს მეშახტეებმა შვიდწლედის მთვრის წელი. მათ გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს სამი ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

აფხაზეთის 60-ზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია ეჯიბრება ერთმანეთს, მომავე რესპუბლიკების კოლექტივებსა და საწარმოებს შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პროფკავშირული ორგანიზაციები ზრუნავენ მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ეს საკითხი განხილული იყო საოლქო პროფსაბჭოს პლენუმზე კურორტების მუშაკთა მონაწილეობით. უმჯობესდება ხელმძღვანელობა აფხაზეთის პროფკავშირთა ტერიტორიული საკურორტო სამმართველოსადმი. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში სანიმუშო წესრიგი დავამყაროთ.

ავტომობილშენებელთა შრომითს საქმეებზე ილაპარაკა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. პ. გოგოლაშვილმა.** თვდდებულმა შრომამ, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ საშუალება მისცეს საწარმოს კოლექტივს გადაჭარბებით შეესრულებინა 1961 წლის გეგმა და წარმატებით ასრულებს დავალებებს 1962 წლის პირველი დღეებიდანვე. ორმა საამქრომ, ათმა ბრიგადამ, ხუთმა უბანმა მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება, 120 მუშამ — კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება.

ჩვენთვის საგულისხმო მოვლენაა „ქუთაისის ავტოქარხანა-606“ ახალი მარკის ავტომობილის გამოშვების ათვისება. საწარმო ემზადება მისი სერიული გამოშვებისათვის. ჩვენ ვამაყობთ, რომ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებულ ავტომობილ „კოლხეთს“.

თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის ნოვატორმა მქსოველმა სოციალისტური შრომის გმირმა **ე. ბ. სოლომონიამ** აღნიშნა, რომ საწარმოს კოლექტივი დადგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და წარმატებით ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, ათვისებულია ახალი ლამაზი ქსოვილების გამოშვება. კომუნისტური შრომის მაგალითს გვიჩვენებენ ბოზინავე მქსოველები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი თ. ლადაძე, მ. ფსუტური, ც. აბაშიძე, გ. რაქველიშვილი, მ. გვრიტიშვილი, გ. გვრიტიძეები და სხვები. საქსოვი საამქროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა არჩევნების დღისათვის — 18 მარტისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 40 ათასი ტიტი ხამი ქსოვილი. ეს ვალდებულება წარმატებით სრულდება.

— მე ვეჯიბრები, — ამბობს ამხ. სოლომონია. — სახელგანთქმულ ივანოველ მქსოველს სოციალისტური შრომის გმირს ი. ვეჩეროვას. გასული წლის დავალება შევასრულე სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის, გეგმის გადაშეტებით გამოვუშვი თითქმის 4.000 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი. ახლა ვებრძვი ოთხ დაზგაზე, ხოლო ამ დღეებში გადავალ ექვსი დაზგის მომსახურებაზე და მივაღწევ იმას, რომ შვიდწლედის პირადი გეგმა შევასრულო 5,5 წელიწადში.

— აჭარის პროფორგანიზაციის საქმიანობა, — თქვა აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ **მ. გ. ცაბაძემ**, — ხმარდება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

აჭარის ასსრ სამრეწველო საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა გასულ წელს 102 პროცენტით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამომშვებულია ბევრი ნაეობპროდუქტი, მანქანები კვების ძრეწველობისათვის, ჩაი, კონსერვები, თამბაქო და სხვ. ეს წარმატებანი მიღწეულია სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვით.

კარგად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას ბათუმის მანქანათმშენებელი, გემთმაშენებელი, ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების პროფკავშირული კომიტეტები. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ არიან საქარხნო კომიტეტები და საფაბრიკო კომიტეტები, რომლებიც გაზე უდგანან შეჯიბრების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ 1961 წელს საწარმოო პროგრამა მთლიანად გადაჭარბებით შესრულდა, 12 საწარმომ ვერ შეასრულა დავალება და დაკლო ჩვენს ქვეყანას დიდი თანხის პროდუქცია.

— ამიერკავკასიის მაგისტრალის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, — თქვა რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ი. ყორჟოლაძემ.** — პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და ცვლების, ბრიგადებისა და საწარმოების, აგრეთვე ცალკეული პროფესიების მუშაკთა შორის შეჯიბრების ორგანიზაციისათვის კომუნისტური შრომის კოლექტივისა და დამკვრელის მაღალი წოდების მოსაპოვებლად.

ბული მუშაობის სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. კერძოდ, მოეწყო მოწინავე გამოცდილების 750 სემინარი და სკოლა. წაკითხულია 4.500 ლექცია მეცნიერულ-ტექნიკურ თემებზე ფართო აუდიტორიისათვის.

პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვაზე საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა **მ. ე. თოფურიძემ.** ჩვენს რესპუბლიკაში დაახლოებით 322 ათასი პენსიონერია. პენსიების ოდენობა გადიდდა ორნახევარჯერ და მეტად. ახლა საქართველოში ყოველწლიურად პენსიების სახით გაიცემა თითქმის 38 მილიონი მანეთი. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე 1955 წელს.

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს 8 მილიონ მანეთს. რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის ყოველწლიური ხარჯების თანხა ხუთჯერ მაინც აღემატება იმ დასკვნებს, რომ წარუმატებლობა გამოწვეულია დაბალი საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინით, იმით, რომ საწარმოს ხელმძღვანელობას არ სურს ან არ შესწევს უნარი ყოველდღიურად იმუშაოს ეკონომიის საკითხებზე, ითვალოს საბჭოთა კაპიკი, დროზე დანერგოს წარმოებაში მოწინავე ტექნიკა და ტექნოლოგია, გაავრცელოს მოწინავეთა მეღვწეობა, აწარმოოს ყოველდღიური ბრძოლა წუნისა და არამწარმოებლური ხარჯების შემცირებისათვის.

— ჩვენ მოხარული ვართ მოგახსენოთ, — თქვა თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. ი. ბაკურაძემ**, — რომ ჩვენი საწარმოს კოლექტივი პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას —ექვს წელიწადში დაამთავროს შვიდწლედი. ჩვენ გამოვუშვით გაცილებით მეტი ელმავალი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრები იყო გათვალისწინებული. სამი წლის მანძილზე შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 888 ათასი მანეთი, ხოლო შვიდწლედის დამლევისათვის შეტანილ იქნება 2.200 ათას მანეთზე მეტი.

მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ტ. ბ. მგელაძემ** ილაპარაკა იმ წყლიანზე, რომელიც მეურნეობის კოლექტივს შეაქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში. შარშან საბჭოთა მეურნეობამ მოკრეფა და სახელმწიფოს ჩააბარა 1.890 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, გაცილებით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მეჩაიეებმა გადაწყვეტეს უფრო სწრაფად გამოიყენონ არსებული რეზერვები, მიაღწიონ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებას.

დიდი ყურადღება ეთმობა საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. უკანასკნელ წლებში აშენდა 23 საცხოვრებელი სახლი, გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, სასადილო.

— რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა საბრძმედო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ა. ვ. ძამაშვილმა**, — მტკიცედ ეუფლება შვიდწლედის ახალ მოცულობას. გასული წლის გეგმა შესრულებულია მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. ჩვენხა ქვეყანამ გეგმის გადაქტებით მიიღო ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, მილები. მებრძმედეებმა გამოადნეს იმდენი თუჯი, რამდენიც დასახული იყო 1965 წლის გეგმით. აგლო-ბრძმედის საამქროს ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 900 ტონა თუჯი.

ამხ. ძამაშვილმა პრეტენზიები წაუყენა საწარმოს პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც საკმაოდ არ ზრუნავს წარმოების მუშაკთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. ქარხანაში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული საზოგადოებრივი კვება. სასადილოებში მზადდება უგემური და ერთფეროვანი საჭმელი.

სიტყვას ამბობს თბილისის ტრამვაის სამმართველოს ვაგონის მძღოლი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე **გ. მ. ბასიაშვილი.** იგი ლაპარაკობს ამხანაგური სასამართლოების დადებით როლზე, მათ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. დამნაშავისადმი სწორი, გულისხმიერი მიდგომის, კოლექტივის გავლენის მეოზებით, ტრამვაის სამმართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

ყურადღებით მოუსმინეს ყრილობის დელეგატებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავს ნ. ა. **პაკელიანს.** მან ილაპარაკა თავისი კოლექტივის წარმატებებზე.

პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების, მოწინავე აგროტექნიკის განხორციელების მეოხებით წლითიწლობით იზრდება ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. თუ, მაგალითად, 1958 წელს საბჭოთა მეურნეობაში მოკრეფეს 321 ტონა ჩაის ფოთოლი, 1961 წლის სეზონში ამავე ფართობზე მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 726 ტონა ფოთოლი. გადაჭარბებით სრულდება აგრეთვე უხეშის ჩაის ფოთლის, ტუნგოს, ყურძნის კრეფისა და ჩაბარების გეგმები. საბჭოთა მეურნეობის ზეგეგმითმა დაგროვებამ შარშან შეადგინა 42.264 მანეთი.

სამი წლის განმავლობაში გაშენდა 362 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია, გადიდდა დაფის ფართობი. საბჭოთა მეურნეობა განუწყვეტლივ გიფართოვდება, შვიდწლედის დამლევისათვის აქ იქნება 1000 ჰექტარი ჩაის, 25 ჰექტარი დაფნის, 50 ჰექტარი ბამბეულის პლანტაცია, 1.200 ჰექტარი სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავები.

— შვიდწლედის სამ წელიწადში, — ამბობს ამხ. პაკელიანი, — ჩემთვის მოსავლელად გაპიროვნებულ პლანტაციაზე მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობა 32 ტონით გაიზარდა. ჩემი ბრიგადა ამ წელს ვალდებულებას იღებს მოკრიფოს 1.200 ტონა ჩაის ფოთოლი.

პროფკავშირები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება მუშებს კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში, აქტიურად დაუჭირონ მხარი წარმოების მოწინავეებს, ხოლო ცალკეულ პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, გავრცელონ მათი გამოცდილება. ჩვენს რესპუბლიკაში 20 ათასზე მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელია. პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ მათთვის, ამბობს საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. მეტრეველი.**

მრეწველობა გადაწყვეტილება გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა სახალხო მეურნეობაში დანერგვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რამაც დასაბამი მისცა ტექნიკურ სიახლეთა შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოთა დაგეგმვას. დაწესებული სპატიო წოდებანი რესპუბლიკის „დამსახურებული გამომგონებელი“, „დამსახურებული რაციონალიზატორი“. ეს საპატიო წოდება უკვე მიენიჭა 88 კაცს, მათ შორის გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს ვ. ფანცულაიას, შ. მარდალეიშვილს, ნ. კოსტავას, გ. აბაელიანს, ვ. გოგუაძეს, ს. ჩიქვაძეს, მ. შაბანოვს, ი. ხახარაძესა და ბევრ სხვას. ესენი ჩვენი შუქურები არიან.

1961 წელს 1959 წელთან შედარებით რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიცხვი 3.291 კაცით გადიდდა, ხოლო მათი წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტი ორჯერ მაინც გაიზარდა. ამჟამად ეს მაჩვენებელი თანხა 6,4 მილიონი მანეთით, ანუ 80 პროცენტით გაიზარდა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადის პროფკავშირთა ბ. ტ. **კვიციანიამ** ილაპარაკა აფხაზეთის მშენებელთა შრომითს დღეებზე, რომლებიც ახალ საცხოვრებელ სახლებს, ჯანმრთელობის კერებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს აშენებენ. მან დაუფრინებით გაუხარა დამსწრეებს კომპლექსური ბრიგადის მუშაობის გამოცდილება.

ყრილობის დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდა თაობის აღზრდას, მტკიცედ ჩაუნერგონ ახალგაზრდობას შრომის, თავისი პროფესიის სიყვარული. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს თავმჯდომარემ **ა. ვ. ჯაფარიძემ**, რომელმაც მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრების აღზრდაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებმა მოამზადეს 8.461 კვალიფიციური მუშა, ასზე მეტი სხვადასხვა პროფესიის. ამ პერიოდში სასწავლებელთა სასწლისწინებში დამატებულია და გამომუშებულია 4 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო პროდუქცია. ათვისებულია სხვადასხვა ჩარხის წვრილ სერიული გამოშვება. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ათასობით კურსდამთავრებული შრომას რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში და მის ფარგლებს გარეთ, ცხადყოფს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებას.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ პროფესიული კავშირები შეძლებენ წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი დიდი ამოცანები მხოლოდ მაშინ, თუ შემდგომ განვითარდება პროფკავშირული დემოკრატია, პროფკავშირის ყველა წევრის ინიციატივა და თვითმოქმედება, ამაღლდება მთელი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონე, გაიზრდება კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც მუშაობის ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და აღმოფხვრის ნაცადი საშუალება.

სიანტერესო მკაფიო მონაცემები მოიყვანა თავის მოხსენებაში სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **დ. თ. ჭოლოკავამ.** ახლა რესპუბლიკაში პროფკავშირთა 120 ათასი და უფრო მეტი წევრია, ვიდრე იყო პროფკავშირთა X ყრილობის წინ.

დელეგატებს შორის არიან 11 ეროვნების წარმომადგენლები. 80 პროცენტზე მეტს აქვს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი ან საშუალო განათლება. ქალები შეადგენენ დელეგატთა 42,4 პროცენტს. ყრილობას დაესწრნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლები.

ყრილობამ საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებლად შეაფასა. მტკიცდება საარევიზიო კომისიის ანგარიში.

განხილულ მოხსენებათა გამო მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებანი. არჩეულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელმაც პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია **მ. მ. ლელაშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივნებად აირჩეულ არიან **ვ. დ. ღლონტერიძე და დ. მ. იოსელიანი.**

პლენუმმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად აირჩია **ი. ს. ავალიანი, ა. ნ. ამბარცუმიანი, ნ. გ. გომელაური, ე. მ. ღვთაძე, ვ. დ. ღლონტერიძე, ა. ვ. ძამაშვილი, გ. ქ. ძიძიგური, მ. ი. ჯაში, გ. ა. ჯოხთაბერიძე, დ. მ. იოსელიანი, გ. ი. ყორჟოლაძე, ა. პ. კრილოვი, მ. მ. ლელაშვილი, ლ. ი. მაღლაფერიძე, ი. დ. ჭუმბურიძე.**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ს. ტრაპაიძე.**

* * *

ყრილობამ ცხადყო საქართველოს პროფკავშირთა მოწოლითურობა და დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. (საქდესი).

კომუნისტი
მე-8 გვერდი, სამშაბათი,
27 თებერვალი, 1962 წ.

საქართველოს პროფკავშირთა XI ყრილობის სხდომათა დარბაზში. ფოტო ბ. დადვაძისა.

ახლად არჩეული პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობა

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები

ი. ს. ავალიანი
ნ. ა. აბულაშვილი
რ. გ. ალექსანდროვა
ა. ნ. ამბარცუმიანი
თ. შ. ანდრიაძე
მ. ი. ახობაძე
მ. კ. არაქელოვი
ა. გ. აფხაზავა
ბ. შ. აშუბა
დ. ი. ბაკურაძე
ბ. პ. ბელიაევა
ჯ. ვ. ბერიაშვილი
მ. ი. ბრეგაძე
ი. ბოჭორიძე
ი. ე. ვადაგი
ფ. ხ. ვარიანი
გ. გ. გომელაური
ე. მ. გაგლოევა
ა. ხ. გიორგობიანი
ე. ს. გეგელაშვილი
ე. კ. გო

ამგები, ცნობები, ფაქტები

მოკლედ ყველაფერზე

□ ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მსხვილ საწარმოებთან შექმნილია საწარმოო სწავლების საამქროები, უბნები და განყოფილებები.

იმ უბნებში, სადაც სამრეწველო საწარმოები არ მდებარეობენ, შეიქმნა სასკოლათაშორისო სასწავლო საამქრო. ასეთი საამქრო, რომელიც მოაწყო მერვე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, უკვე მუშაობს მე-8 საშუალო სკოლაში.

სასკოლათაშორისო საამქროში მკერავის კვალიფიკაციას ეუფლებიან აგრეთვე ქუთაისის მე-18, მე-19 და 22-ე საშუალო სკოლების მეცხრეკლასელი გოგონები.

□ ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა გაზი. გასული წელს საცხოვრებელ ბინებში დამონტაჟდა 177 ღუმელი, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა და ჯანმრთელობის დაცვის ქსელში — 33 ღუმელი, რომლებიც თხევად გაზზე მუშაობენ.

წელს გაზიფიკაციის სამუშაოების მოცულობა საგრძნობლად გაიზრდება. გათვალისწინებულია საცხოვრებელ ბინებში დაიდგას 500 ღუმელი. ამ დღეებში გაზიფიკაციის ტყიბულის კანტორამ მიიღო 182 ახალი ღუმელი და დაიწყო მათი დამონტაჟება.

□ ხაშური ერთი მხრიდან დაჰყურებს მოგრძო გორა, წინათ ხრიოკი ადგილი. ახლა იგი ფიქვნარით არის დაფარული და ქალაქის მშვენებაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან გასულ ოთხ წელიწადში აქ 48 ჰექტარზე ფიქვის ტყე გაშენდა. წელს ეს ფართობი კიდევ 15 ჰექტარით გაიზრდება. აქვე მოეწყობა ტყე-პარკი.

დ. ფარემუზოვი.

მთების მშვენება

თელავი. (საკ. კორ.). ცივგომბორის მთებში სასარგებლო ნადირის გამრავლებაზე ბევრი ზრუნავს. სატყეო მეურნეობისა და მონადირეთა საზოგადოების მუშაკები ტყეებსა და მინდვრებში ზამთრისათვის დგამენ თივის ზვინებს, ფანტავენ მარილს. შველი თივას ხარბად შეეჭცევა, მარილს ლოკავს.

ცივგომბორის მთებში შველი გამრავლდა. ამას წინათ თელავის მონადირეთა საზოგადოების მუშაკებმა კისისხევის ტყეებში ერთ დღეს ოცამდე შველი დათვალეს. შუამთის ზვინთ ორ-სამ საათში ათამდე შველი ნახეს.

ჯ. ლ. კეკელიძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგემ დოცენტმა პ. ლ. კეკელიძემ ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები. „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“ ტექსტოლოგიური გამოკვლევა“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა პ. ლ. კეკელიძისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

ჩემპიონატი ზუგდიდში

თ. ლომაიასა და ნ. გაფრინდაშვილის ორთაბრძოლა

ზუგდიდი, 25 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გუშინ აქ საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პირველობა ჭადრაკში.

დღეს გაიმართა პირველი ტური. მაყურებელთა უყურადღება გამახვილებული იყო ოსტატ თ. ლომაიასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტიაზე. აქ გათამაშდა ძველინდური დაცვა. ბრძოლის გართულების მიზნით ნ. გაფრინდაშვილმა მოწინააღმდეგეს პაიკი შესწირა და თამაშში მეტი სიმწვავე შეიტანა. თ. ლომაია ზუსტად იბრძოდა, მალე იგი იძულებული იყო ნ. გაფრინდაშვილისათვის პაიკი დაებრუნებინა. პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში.

ოსტატ ბ. გურგენიძისა და ა. იზგოზჩიკოვის პარტიაში ბრძოლა გურგენიძის უპირატესობით წარიმართა და მისიცე გამარჯვებით დამთავრდა. ოსტატმა მ. შიშოვმა დაამარცხა ა. შანიაშვილი (ლაგოდეხი), ოსტატმა ა. ბლაგიძემ — თ. გიორგაძე (ქუთაისი), ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ — ბ. ბანძელაძე (ქუთაისი), ოსტატმა ა. ბუსლაევმა — ა. ურიდია (გუდაუთა), ა. წერეთელმა (ბილისი) — ი. ლოლუა (ფოთი).

რ. ჯინჭიხაშვილი - ა. მაქაცარიასა და მ. დემურია - ჰ. არზუმანიანის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ხვალ დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს შედგება მეორე ტური.

ქომუნისტი

სტოკჰოლმიდან მცირეწლოვანთა ტურნირის სხდომა

სტოკჰოლმი. 25 თებერვალი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გაიმართა საზონთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მორიგი მეთვრამეტე ტური.

ფინელთან ლიდერის — ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონის რ. ფიშერის უახლოეს მეტოქედ საბჭოთა გროსმაისტერი ე. გელერი ითვლება. ამიტომ მათი ორთაბრძოლა არა მარტო მაყურებელთა, არამედ ტურნირის მონაწილეთა უურადღების ცენტრში იდგა.

მოწინააღმდეგენი არ გაურბოდნენ გართულებებს. ინიციატივის მიღების მიზნით რ. ფიშერმა მეტოქეს პაიკი შესწირა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და იძულებული იყო წონასწორობის აღდგენაზე ეზრუნა. მართალია, რ. ფიშერმა პაიკი დაიბრუნა, მაგრამ გადადებულ პარტიაში მას ოდნავ უარესი პოზიცია აქვს.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის არც სხვა წარმომადგენლებს დაუმთავრებიათ პარტიები. ტ. პეტროსიანს ზედმეტი პაიკი აქვს ა. პომართან, ლ. შტეინი გარკვეულ უპირატესობას ინარჩუნებს ს. გლიგორიჩთან გადადებულ პარტიაში, ვ. კორჩნოისა და ა. ბისჰაიერის პარტიაში პოზიცია თანაბარია.

მეთვრამეტე ტურის კურიოზს ვ. ულმანისა და მ. აარონის პარტიის შედეგი წარმოადგენდა. ტურნირის აუტსაიდერს მ. აარონს, რომელმაც გათამაშების ცხრილში უკვე 13 ნოლის ჩაწერა მოასწრო, პირდაპირ ვეღარ იცნობდით ერთ-ერთ ლიდერთან ვ. ულმანთან შებედრაში. ვ. ულმანმა ვერ გაუძლო მოწინააღმდეგის განუწყვეტელ იერიშებს და დამარცხდა.

მ. ფილიპოსი და გ. ბარცას ორთაბრძოლაში გაიმარჯვა პირველმა. ლ. პორტიშმა მოუგო მ. ბერტოკს, ი. ბოლბოჩანი. ბილეკს და რ. ტეშნერ-ჰ. ბენკოს პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ჰ. კუელარისა და ა. იანოვსკის პარტია გადადებულია მ. კუელარისათვის უკეთეს პოზიციაში.

ფიშერი და გელერი ყაიმზე შეთანხმდნენ

სტოკჰოლმი. 26 თებერვალი. საზონთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი საერთაშორისო ოსტატი ლევ აბრამოვი ტელეფონით გვატყობინებს.

დღეს აქ მოეწყო მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრძოლის განუახლებლად რ. ფიშერი და ტ. პეტროსიანი ყაიმზე შეთანხმდნენ, ხოლო ა. პომარი დანებდა ტ. პეტროსიანს.

რ. ფიშერს მეორე გადადებული პარტია ჰქონდა ე. გელერთან ოდნავ უარეს პოზიციაში, მაგრამ ამერიკის ჩემპიონი ზუსტად იცავდა თავს და პარტია ყაიმით დამთავრა. ამრიგად, რ. ფიშერმა სამ საბჭოთა მოჭადრაკესთან — ლ. შტეინთან, ტ. პეტროსიანთან და ე. გელერთან შეხვედრები ყაიმით დაამთავრა. მორიგ ტურში იგი ხვდება ვ. კორჩნოის.

ე. გელერმა ვერ გამოიყენა უკეთესი მდგომარეობა გ. ბარცასთან და ყაიმით დაკმაყოფილდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ვ. კორჩნოი - ა. ბისჰაიერის, ი. ბილეკ-მ. ფილიპოსი და ლ. ბორტნი-ი. ბოლბოჩანის პარტიები.

ვ. კორჩნოიმ დაამარცხა გ. ბარცა, პ. ბენკომ — ვ. ულმანი, ა. იანოვსკიმ — ე. გერშანი. დანარჩენი პარტიები გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

18 ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერობას კვლავ რ. ფიშერი ინარჩუნებს, რომელსაც 13,5 ქულა აქვს. ე. გელერს 12,5 ქულა აქვს, ტ. პეტროსიანსა და მ. ფილიპს — თერთმეტნახევარ-თერთმეტნახევარი ქულა.

ზაკოპანეს ფინიშში

24 თებერვალს შედგა გადარბენა ყველაზე რთულ დისტანციაზე — 50 კილომეტრზე. ბევრი ელოდა, რომ საბჭოთა მოთხილამურეები შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ჩვენი მოთხილამურეებიდან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია გ. ვაგანოვმა, რომელმაც მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონი 50 კილომეტრის სათხილამურო გადარბენაში გახდა შვეციის წარმომადგენელი სიქსტენ ერბერგი.

გასულ კვირადღეს შედგა ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული უანასკნელი შეჯიბრება — დიდი ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ჰ. რეკნაგელი. საბჭოთა სპორტსმენმა ნ. კამენსკიმ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ზაკოპანეში ჩემპიონატის ალაში დაუშვეს.

ზაკოპანეს ფინიშში

24 თებერვალს შედგა გადარბენა ყველაზე რთულ დისტანციაზე — 50 კილომეტრზე. ბევრი ელოდა, რომ საბჭოთა მოთხილამურეები შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ჩვენი მოთხილამურეებიდან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია გ. ვაგანოვმა, რომელმაც მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა.

მსოფლიოს ჩემპიონი 50 კილომეტრის სათხილამურო გადარბენაში გახდა შვეციის წარმომადგენელი სიქსტენ ერბერგი.

გასულ კვირადღეს შედგა ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული უანასკნელი შეჯიბრება — დიდი ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი ჰ. რეკნაგელი. საბჭოთა სპორტსმენმა ნ. კამენსკიმ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ზაკოპანეში ჩემპიონატის ალაში დაუშვეს.

კალათბურთში ნაკრების კანდიდატები

ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები იწყებენ მზადებას მომავალი საერთაშორისო შეხვედრებისათვის. შერჩეული არიან ნაკრებთა კანდიდატები.

ვაჟთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან: ვ. ზუმკოვი, ა. პეტროვი, ი. კრუმინში, ლ. ივანოვი, ვ. ოკიბნიაკი, ი. კორნეევი, გ. ვოლნოვი, ი. ლიპსო, ო. იურგენსონი, ი. ბიკოვი, ა. ალაჩაჩიანი, ვ. ნოვიკოვი, ა. ტრავინი, ა. გულბისი, ი. კალნინში, ც. ოზერსი.

თბილისის „დინამოდან“ ნაკრებში შეყვანილი არიან ვ. უგრეხელიძე, გ. მინაშვილი, ვ. აღთაბეგი.

ქალთა ნაკრებში თბილისის „ბურევესტნიკიდან“ შეყვანილია თ. საბადაშვილი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. პეტრე იაკობის-ძე **ანტროპოვი** სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ალექსანდრე ვასილის-ძე **სიდორენკო** სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის მინისტრად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ი. ს. **ჩიაურელი** გაათავისუფლა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა ამხ. დ. გ. **მამაცაშვილი**.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საერთაშორისო ცხოვრება

დიდი ინტერესი

ინგლისის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე

ლონდონი, 24 თებერვალი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის ახალ წერილს მაკმილანისა და კენედისადმი გაცხოველებით განიხილავენ ინგლისში. ოფიციალურად ლონდონს ჯერ არ უპასუხნია საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილზე. მაგრამ საჭმეს გაცნობილ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ინგლისის მთავრობა არ იზიარებს ვაშინგტონის თვალსაზრისს, რომელმაც სასწრაფოდ გამოაცხადა, რომ უარყოფითად ეკიდება ახალ წერილს.

ეს, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მაკმილანმა უთხრა კენედის ტრანსატლანტიკური ტელეფონით ლაპარაკის დროს.

ნ. ს. ხრუშჩოვის ახალი წერილის დაწვრილებითი შინაარსი ინგლისის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა. გაზეთი „გარდიანი“ წერს, რომ ვერავითარ პროგრესს (განიარაღების შესახებ საკითხში — რედ.) ვერ მივაღწევთ, თუ არ მოეწყო შეხვედრა უმაღლეს დონეზე“. „რატომ არ უნდა შევეცადოთ გავმართოთ ეს შეხვედრა? — სვამს კითხვას გაზეთი, — ჩვენ არაფერს არ დავკარგავთ, და შეიძლება ბევრი რამ მოვიგოთ“.

„გარდიანი“ მოუწოდებს „კონსტრუქციული პასუხი“ გასცენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ახალ წერილზე. ამ გაზეთის აზრით, ასეთი „კონსტრუქციული პასუხი“ იქნებოდა კომპრომისული გადაწყვეტილება, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა მეთაურები შეხვდნენ „ძირითადი თათბირის დაწყებამდე“.

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიამ პრაქტიკულად დაამთავრა თავისი მუშაობა საღამოს 23 თებერვალს. გენერალური ასამბლეა უნდა შეიკრიბოს მომდინარე წლის ივნისში, რათა განიხილოს რუანდა-ურუნდის შესახებ კომისიის მოხსენება (გადაწყვეტილება ამ კომისიის შექმნის შესახებ მიიღო მე-4 კომიტეტმა (მეურვეობის საკითხებზე. — რედ.). ეს გადაწყვეტილება დადასტურდა გენერალური ასამბლეის უკანასკნელ სხდომაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის მეორე ნაწილის საბოლოო პლენარული სხდომა შეიძლება მეოთხე კომიტეტის მოხსენებათა განხილვას, კომიტეტისა, რომელიც განიხილავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორიის რუანდა-ურუნდის მომავალს საკითხს. ამ ტერიტორიას მართავდა ბელგია. ამ საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ ბელგიელ კოლონიზატორებს თავიანთი ნატოლი მოკავშირეების სრული მხარდაჭერით სურთ გადაქცეონ რუანდა-ურუნდი ახალ კონგოდ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ წინასწარ მიიღეს ღონისძიებანი, რომ თავიანთი პოზიციები შეენარჩუნებინათ ამ ტერიტორიაზე. ეს ღონისძიებანი ის არის, რომ ბელგიელებმა გაერთიანებული რესპუბლიკა, ერაყი, გვინეა, მალი, ინდოეთი, ინდონეზია, ბირმა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოთა ზეგავლენით ეს შესწორება უარყვეს.

ამასთან, ეს რეზოლუცია შეიცავს ისეთ დიდმნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა რუანდა-ურუნდისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების ღონისძიებანი დემოკრატიული რეფორმების განხორციელება რუანდაში, რუანდასა და ურუნდის მთავრობებისათვის შინაგანი ავტონომიის უფლებათა გადაცემა, რეზოლუცია აგრეთვე ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის შექმნას რუანდა-ურუნდის შესახებ. ამ კომისიის ამოცანები, კერძოდ, ის არის, რომ უზრუნველყოს რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი რუანდასა და ურუნდის შორის და უზრუნველყოს საშინაო საქმეების ყველა რწმუნებათა სრული გადაცემა რუანდასა და ურუნდის მთავრობებისათვის არა უგვიანეს მომდინარე წლის 30 აპრილისა. კომისიამ მოხსენება უნდა წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას არა უგვიანეს 1962 წლის 1 ივნისისა.

საბჭოთა დელეგატმა პ. დ. მოროზოვმა, რომელიც გენერალური ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ და თანამომდევრულად იცავდა და იცავს იმ ძირითად პრინციპს, რომ მოსახლეობის სურვილების შესაბამისად, რუანდა-ურუნდის უნდა მიენიჭოს ნამდვილი დამოუკიდებლობა, რომ რუანდა-ურუნდის ტერიტორიაზე დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისათვის არც ერთი ბელგიელი ჯარისკაცი არ დარჩეს.

საბჭოთა დელეგატმა მწვავედ გააკრიტიკა კოლონიზატორთა მისწრაფება შეინარჩუნონ თავიანთი ჯარები რუანდა-ურუნდის ტერიტორიაზე.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საბჭოთა დელეგაციამ შესაძლებლად მიიჩნია ხმა არ მისცეს წინააღმდეგ და თავი შეიკავოს რეზოლუციის კენჭისყრის დროს, რადგან რეზოლუცია მაინც შეიცავდა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დადებით მომენტებს.

აფრიკა-აზიის ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციას რუანდა-ურუნდის მომავლის საკითხზე ხმა მისცა 88 დელეგატმა. სოციალისტურმა ქვეყნებმა თავი შეიკავეს კენჭისყრაში.

რუანდა-ურუნდის — დამოუკიდებლობა!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე



— მთავრობათა მეთაურების თათბირი? აი გამოცდას მოვაწყობთ, და მერე ვნახოთ!

ნახატი შვედურ გაზეთ „ნიუ დაგიდან“.

გულითადი მადლობა

კუბის მთავრობის განცხადება

ჰავანა, 25 თებერვალი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კუბის რევოლუციური მთავრობის განცხადება პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს ხელმოწერით. იგი კუბის პასუხია საბჭოთა მთავრობის 19 თებერვლის განცხადებაზე.

კუბის მთავრობა და ხალხი, აღნიშნულია განცხადებაში, სიხარულით და მადლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის დროულ, მამაცურ და ენერგიულ განცხადებას. საბჭოთა განცხადება, ხაზგასმით აღნიშნავს კუბის მთავრობა, ეჭვი არ არის, უაღრესად ძვირფასი წვლილია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების საქმეში, საერთაშორისო მორალისა და ნორმების დაცვის საქმეში, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობაში.

კუბის მთავრობის განცხადებაში მხილებულია ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული აქტები და მანევრები კუბის წინააღმდეგ და დასასრულ ნათქვამია.

კუბის ხალხი და რევოლუციური მთავრობა სულით და გულით გამოთქვამენ მადლობას საბჭოთა კავშირის არაერთგზისი დახმარებისათვის, რომელიც საშუალებას გვაძლევს წინააღმდეგობა გავუწიოთ ეკონომიურ აგრესიას, მადლობას გამოთქვამენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ყველა იერიშის გადაჭრით დაგმობისათვის, საბჭოთა კავშირის სოლიდარობისათვის კუბასთან, იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობა სრულ გამარჯვებას გვისურვებს. კუბა გაიმართლებს იმედს!

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის დასასრული

ნიუ-იორკი, 24 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კანავერალის კონცხის საცდელ პოლიგონზე გაიმართა პირველი ამერიკელი კოსმონავტის ჯონ გლენის პრესკონფერენცია.

როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გლენმა კორესპონდენტებს აცნობა, რომ მან ადვილად გადაიტანა უწონადობის ხანგრძლივი მდგომარეობა თავისი კოსმოსური გაფრენის დროს.

„ჩემთვის სრულიადაც არ ყოფილა ძნელი ხელი მიმეწვდინა ჭიმებამდე, ისევე როგორც განმეხორციელებინა ხომალდის მართვა უწონადობის მდგომარეობის დროს“, — განაცხადა კოსმონავტმა. გლენმა თქვა, რომ გაშვებიდან 30 თუ 45 წუთის შემდეგ იგი უკვე სურათს იღებდა ხელის ფოტოაპარატის საშუალებით და რთავდა და გამორთავდა ამ თუ იმ აპარატურას.

კოსმონავტის სიტყვით, მას არ განუცდია გულისრევა ან დეზორიენტაცია თავისი ფრენის დროს ორბიტაზე.

რაც შეეხება ჰამას, გლენმა თქვა, რომ მან შეჰპარა ერთ ტუბში მოთავსებული ხაჭელი და აღმოაჩინა, რომ „ყლაპავ სრულიად არ იყო ძნელი“.

შემდეგ გლენმა აღწერა მზის ამოსვლა და ილპარაკა რაღაც საიდუმლოებით მოცულ ყვითელ-მწვანე ფერის სინათლეებზე, რომლებიც კოსმოსშებნდენ როგორც ციცინათელები ბნელ ღამეში.

ჯერ მას მოეჩვენა, რომ კაბინი შევიდა რომელიღაც ვარსკვლავთა ველში. მან ყურადღებით დაათვალიერა ეს მნათი ნაწილაკები და შენიშნა, რომ ისინი ათასობით იყო, და გეგონებოდა, რომ ეს ნაწილაკები ერთიმეორისაგან დაშორებული იყვნენ 6-10 ფუთით.

გლენმა თქვა, რომ მას ვერ წარმოუდგენია, რა იყო ეს. მაგრამ რაც უნდა იყოს, მან დაინახა ეს მნათი ნაწილაკები სამივე გარსშემოვლაზე.

კოსმონავტმა განაცხადა, რომ მესამე ხვეულის ბოლოს, როცა იგი უნდა დაბრუნებულიყო ატმოსფეროში, მან „რაღაც წამით შეშფოთება იგრძნო“. მას აშფოთებდა ის, რომ არ იცოდა, იყო თუ არა კაშკაშა ნატეხები, რომლებიც ილუმინატორის იქით მიცურავდნენ, დაწილი სამუხრუჭე რაკეტებისა თუ დაზიანებული სითბური ეკრანის ნატეხები.

უკანასკნელს მოჰყვებოდა კატასტროფული შედეგები, რადგან სითბური ეკრანი იცავდა კაბინს დაახლოებით 3-4 ათასი გრადუსი ტემპერატურით (ფარენგეიტის მიხედვით) გახურებისაგან ატმოსფეროში შესვლისას.

გლენმა თქვა, რომ ხომალდის დაშვების დროს მან ილუმინატორიდან შენიშნა ნარინჯისფერი ნთება, რომელიც გამოწვეული იყო ხომალდის წინა ნაწილის გახურებით. მან დაინახა სამუხრუჭე რაკეტების ნატეხები, რომლებიც ილუმინატორიდან მოჩანდნენ. ატმოსფეროს მკვრივ შრეებში შესვლისას იგრძნო, რომ მისი წონა მკვეთრად გადიდდა. როცა პარაშუტი გაიხსნა, განაცხადა გლენმა, გადამეშალა „უველაზე მშვენიერი სანახაობა, რომელიც ოდესმე მინახავს“.

რა ნახა გლენმა კოსმოსში?

ჯონ გლენის პრეს-კონფერენცია

ტელეგრაფი გვატყობინებს

დელი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საღამოს დამთავრდა კენჭისყრა ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატისა და 13 შტატის საკანონმდებლო კრებების არჩევნებში. კენჭისყრა 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. წინასწარი მონაცემებით, 210 მილიონი ინდოელიდან, რომლებსაც ხმის უფლება ჰქონდათ, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 125 მილიონმა კაცმა.

ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის 494 წევრისა და შტატების საკანონმდებლო კრებების 2.855 წევრის არჩევნების საბოლოო შედეგები გამოირკვევა მხოლოდ მარტის დამდეგს. (ინდოეთის სახალხო პალატაში 507 დეპუტატია. პალატის 7 წევრს დანიშნავს პრეზიდენტი; 6 წევრს აირჩევს ჯამუსა და ქაშმირის საკანონმდებლო კრება).

ტოკიო, 24 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქედან სეულს გაფრინდა სამხრეთ კორეის დაზვერვის უფროსი, სამხრეთ კორეის დიქტატორის პაკ ჯონ ხის „მარჯვენა ხელი“ პოლკოვნიკი კიმი, რომელიც რამდენიმე დღეს იყო იაპონიაში.

როგორც აქ ცნობილი გახდა, კიმისა და იაპონიის პრემიერის იკედას მოლაპარაკების დროს მიღწეულია შეთანხმება, რომ მარტში მოეწყოს „პოლიტიკური მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე“ იმ მიზნით, რომ დამთავრდეს „ურთიერთობის ნორმალიზაცია“ იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის. ადგილობრივ დემოკრატიულ წრეებში კიმისა და იკედას მოლაპარაკება მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მმართველი წრეების ახალ ცდად განამტკიცონ სამხრეთ კორეაში ანტინაციონალური დიქტატორული რეჟიმი და შეაკოწიწონ შორეულ აღმოსავლეთში ნეატოს სამხედრო ბლოკი.

ანკარა, 26 თებერვალი. (საკდესი). თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სამსახურიდან გადაყენებულია 21 ოფიცერი. ისინი გარეული იყვნენ ამასწინანდელ ამბოხებაში, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა: ამ ოფიცრებს შორის არიან ანკარის სამხედრო სკოლის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი თალათ აიდემირი, პრეზიდენტის დაცვის პოლკის ყოფილი მეთაური პოლკოვნიკი შუქრუ ილკინი და სხვები.

დაპატიმრებულია ოთხი ოფიცერი: პოლკოვნიკები თალათ აიდემირი, ემინ არატი, დუნდარსეიხანი და თურგუტ ალპაგუტი.

სამინისტრომ უარყო პრესის ცნობები, რომ, გარდა ამ ოთხი კაცისა, დაპატიმრებულია კიდევ 200-მდე ოფიცერი.



ამერიკის ჟურნალ-გაზეთები ყოველ ნომერში ათავსებენ მომაკვდინებელი იარაღის ფოტოსურათებს. მათზე გამოხატულია ატომურ საბრძოლოთავიანი რაკეტები, წყალქვეშა ნავები და ავიამზიდები, შორი მოქმედების ბომბდამშენები. „ჩვენთვის აუცილებელია შეიარაღება!“ — გაჰკივის იმპერიალისტური პრესა. მას ბანს აძლევენ მოსყიდული რადიო და ტელევიზია. მაგრამ ამერიკელ ხალხში სულ უფრო ძლიერ გაისმის გონიერების ხმა. უბრალო ადამიანები მოითხოვენ: „შევუთანხმდეთ საბჭოთა კავშირს! ზღვაში გადავყაროთ იარაღი! ჩვენ მშვიდობა გვინდა!“

და ეს დღე დადგება. მშვიდობისმოყვარე ხალხთა ნება გაიმარჯვებს. ხოლო ფოტოსურათები, რომლებზეც გამოხატულია რაკეტები და სხვა სამხედრო ხარახურა, მხოლოდ მუზეუმებსა და ისტორიულ არქივებში დარჩება.

გამოუცხადებელი ომი

სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ

ჯაკარტა, 24 თებერვალი. (საკდესი). ჩინეთის მთავრობა და ხალხი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ ვიეტნამში ესკალირდება ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული აგრესია, ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავარაუდო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა დღეს. ამერიკის სამხედრო სარდლობის შექმნა სამხრეთ ვიეტნამში სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის პატრიოტული სამართლიანი ბრძოლის ჩასახშობად ამერიკის იარაღისა და სამხედრო მასალის განუწყვეტელ შეტანასთან ერთად, აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, ფაქტიურად ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე მოწაწილეობენ სამხრეთ ვიეტნამის „გამოუცხადებელ ომში“. მოვლენათა ასეთ ვითარებას არ შეუძლია სერიოზული შეშფოთება და ყურადღების დაძაბვა არ გამოიწვიოს ინდოჩინეთის, აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონის ქვეყნებში.

ჩინეთის მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამართლიან პოზიციასა და კანონიერ მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ჩარევა სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში.

ჩარევა ლაოსის საქმეებში

ჯაკარტა, 26 თებერვალი. (საკდესი). ლაოსის სამეფო მთავრობის წარმომადგენელმა, იუწყება ვიენტიანის საინფორმაციო სააგენტო, განაცხადა, რომ ამას წინათ შეერთებულმა შტატებმა ლაოსში გაგზავნეს ახალი სამხედრო მისია, რათა „ინსპექცია“ მოაწყოს ვიენტიანში, ლუან-პრაბანში, სარავანსა და ამ ქვეყნის სხვა რაიონებში.

შეერთებული შტატების ეს აქტი, აღნიშნა ლაოსის მთავრობის წარმომადგენელმა, იმის ახალი დადასტურებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლაოსის საქმეებში ერევიან.

27 თებერვალი



თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — „ლიზი, რუსთაველის სახელობის — „ზღვის შვილები, გრიბოედოვის სახელობის — თეთრ ღამეებთან გამოთხოვება (მე-2 აბონ. მე-7 წარმ.), სანკულტურის — მე მჯერა შენი, მოწარდ მაყურებელთა ქართული — თოვლის დედოფალი (აბონ. № 12, 6 ს.).

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი — „სოფლის ექიმი“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა ციკლიდან — „დეპუტატობის კანდიდატები“ — მ. ჯაფარიძე. 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მეგობრობის საღამო“. შესვენების დროს ახალი ამბები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსიზმ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი